ხაშურის მოამბე

№13 (484) 14 აპრილი, ორშაბათი, 2025 წელი

ვნების კვირა დაიწყო

დიდი მარხვის 40 დღის შემდეგ იწყება ვნების კვირა. მართალია, ეს შვიდეული დამოუკიდებელი მარხვაა, მაგრამ განუყოფელი ნაწილია ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისწინა მარხვისა.

ვნების შვიდეული მაცხოვრის ამქვეყნიური ცხოვრების უკანასკნელი დღეებია. მას მოჰყვა მისი ჯვარცმა, დაფვლა და აღდგომა. ამ დღეთა გახსენებით ყოველი ქრისტიანი სულიერად ბრუნდება იმ სამყაროში, სადაც უფალი ჯერ კიდევ კაცობრიობის გვერდით იყო.

ვნების შვიდეულის მარხვა განსაკუთრებით მძიმეა და თავისებური - ვნების შვიდეულის შაბათ დღეს, განსხვავებით წლის დანარჩენი შაბათებისგან, აუცილებელია, მკაცრი მარხვა შევინახოთ.

წმინდა მამები გვასწავლიან, რომ ვნების შვიდეულის დღეებით იკურთხება მთელი წლის დღეები. დიდი ორშაბათით იკურთხება მთელი წლის



ორშაბათი დღეები, დიდი სამშაბათით - სამშაბათები და ასე შემდეგ. ამიტომაც მნიშვნელოვანია, როგორ გავატარებთ ამ დღეებს.

დიდი ორშაბათი

დიდ ორშაბათს ეკლესია უნაყოფო ლეღვის გახმობას იხსენებს. ეს ლეღვი იმ იუდეველთა სახეა, რომელთა გულშიც იესო ქრისტემ ჭეშმარიტი ნაყოფი ვერ პოვა - იქ მხოლოდ კანონების მშრალი აღსრულება დახვდა. ამიტომაც ამხილა და დაგმო ისინი. უნაყოფო ლეღვი ასევე იმ ქრისტიანთა სულის სიმბოლოცაა, რომელიც სინანულის ნაყოფს არ ისხამს. ეკლესიაც დიდ ორშაბათს სინანულისკენ მოგვიწოდებს.

ლიტურგიაზე წასაკითხი სახარებით წმინდა ეკლესია ღვთისაგან განდგომილი იუდეველების ბედსა და იესო ქრისტეს მიერ აღწერილ სამყაროს აღსასრულს გვახსენებს. დიდ და მრავალრიცხოვან განსაცდელთა, იერუსალიმის დანგრევისა და სამყაროს აღსასრულის ნიშნების აღწერით ეკლესია მორწმუნეებს ამქვეყნიურ ბოროტებაზე ამაღლებისკენ, სულგრძელობისკენ, სიმშვიდისკენ, მოთმინებისკენ, ლოცვისა და სულიერი სიფხიზლისკენ მოუწოდებს.

დიდი სამშაბათი

დიდი სამშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იგავს ათი ქალწულისა და ტალანტების შესახებ და გრძელდება მათეს სახარების ორშაბათს დაწყებული საკითხავი იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის შესახებ. ამით წმინდა ეკლესია კიდევ ერთხელ და საგანგებოდ მოუწოდებს მორწმუნეებს სულიერი სიფხიზლისკენ, ჩვენთვის ბოძებული ნიჭისა და ძალების მართებული გამოყენებისკენ, განსაკუთრებით კი - მოწყალებისკენ.

დიდი ოთხშაბათი

ეს იუდას მიერ ქრისტეს გაცემის დღეა.

ოთხშაბათი ღამე მაცხოვარმა ბეთანიაში გაატარა. აქ, სიმონ კეთროვნის სახლში, იმ დროს, როცა მღვდელმთავრებს, მწიგნობრებსა და უხუცესებს იესოს მოტყუებით შეპყრობა და მოკვდინება ჰქონდათ გადაწყვეტილი, უცხო დედაკაცმა ძვირფასი ნელსაცხებელი ინახით მჯდომ მაცხოვარს უხვად დაასხა თავზე, რითაც, როგორც თავად მაცხოვარმა ბრძანა, იგი დასაფვლელად მოამზადა.

აქვე, დედაკაცის უანგარო საქციელის საპირისპიროდ, იესო ქრისტეს თორმეტთაგან ერთ-ერთი მოწაფის, იუდა ისკარიოტელის უმადურ სულში ჩაისახა ბოროტი აზრი, თავისი მასწავლებელი და უფალი იუდეველთა უკანონო საბჭოსთვის მიეცა. ამიტომ დიდი ოთხშაბათის საეკლესიო მსახურება განადიდებს დედაკაცს, რომელმაც მაცხოვარს ნელსაცხებელი სცხო, იუდას ვერცხლისმოყვარეობასა და გამცემლობას კი კიცხავს და გმობს.

დიდ ოთხშაბათს წყდება დიდი მეტანიები, რომელთაც ეფრემ ასურის ლოცვის, "უფალო და მეუფეო ცხოვრებისა ჩემისაო", დროს ვასრულებთ. ამის შემდეგ, პარასკევამდე, ამ ლოცვას მხოლოდ ბერმონაზვნები აღასრულებენ სენაკებში.

დიდი ხუთშაბათი

იერუსალიმში შესვლიდან მეოთხე დღეს იესომ თორმეტივე მოწაფე შეკრიბა და უკანასკნელად დამოძღვრა: "ნუ იქნება თქვენს შორის ცილობა, ვინ უფრო დიდია, არამედ უდიდესი იყოს, როგორც უმცირესი და წინამძღვარი - როგორც მსახური... მე ვარ თქვენ შორის, როგორც მსახური, თქვენ კი ხართ ჩემს განსაცდელში - ჩემ გვერდით მყოფნი". შემდეგ ჩაასხა საბანელში წყალი და დაიწყო მოწაფეთათვის ფეხების ბანა: "ხოლო თუ მე, მოძღვარმა და უფალმა, - ამბობს იგი, - დაგბანეთ ფეხები, თქვენც ასევე უნდა ბანდეთ ერთმანეთს ფეხებს, ვინაიდან მაგალითი მოგეცით და ნეტარია, ვინც აღასრულებს ამას". მაგრამ ყველა არ მოინდომებს ამ ნეტარებასა და ღვთის სიყვარულში წილის დადებას... "ერთი თქვენგანი გამცემს მე", - იტყვის უფალი. იუდა დაუნანებლად ტოვებს სერობას, გაურბის მხილებას, ტოვებს ღმერთს და უღმერთო ხდება.

მათთვის, ვინც საკუთარ თავზე მეტად შეიყვარა იგი, როგორც მაცხოვარი, როგორც აღდგომის ცხოვრება და ჭეშმარიტება, ქრისტე აწესებს ზიარების გამომხსნელ საიდუმლოს. "აწ იდიდა ძე კაცისა, და ღმერთი იდიდა; გაძლევთ თქვენ ახალ მცნებას, რათა გიყვარდეთ ერთმანეთი... როგორც მე შეგიყვარეთ, ასევე გიყვარდეთ ერთმანეთი", ამბობს უფალი. - "არავის აქვს იმაზე დიდი სიყვარული, ვიდრე მას, ვინც სულს დადებს მეგობრისთვის. მე აგირჩიეთ თქვენ და დაგადგინეთ, რათა წახვიდეთ და ნაყოფი გამოიღოთ. აჰა, მოდის დრო, ცოტაც და ვეღარ მიხილავთ მე. მწუხარენი ხართ ახლა, მაგრამ კვლავ მიხილავთ და გაიხარებს თქვენი გული და ვეღარავინ წაგართმევთ სიხარულს. გამხნევდით, მე ვძლიე ქვეყანას", - იტყვის უფალი და გეთსიმანიის ბაღისაკენ გაემართება ზეციური მამის წინაშე სალოცავად, რათა შეავედროს ძეობა თვისი, საყვარელი მოწაფენი და ცოდვით დამძიმებული კაცობრიობა.

დიდი ხუთშაბათის მსახურებაზე ვიხსენებთ იესო ქრისტეს მიერ მოწაფეთათვის ფეხთა დაბანას, საიდუმლო სერობას, გეთსიმანიის ბაღში იესო ქრისტეს ლოცვას და იუდას მიერ მის გაცემას.

სერობაზე მართლმადიდებელი ეკლესიების მღვდელმთავრები ფერხთბანის რიტუალს ატარებენ: როგორც მაცხოვარმა დაბანა ფეხები სერობის დაწყებამდე თავის თორმეტ მოწაფეს, ასევე ბანს ფეხებს მღვდელმთავარი თორმეტ მღვდელმსახურს. ამავე დღეს სიონის საკათედრო ტაძარში სრულდება ფეხთბანის რიტუალი. კათოლიკოს-პატრიარქი იწვევს თორმეტ მღვდელს და ბანს ფეხებს.

დიდი ხუთშაბათი ერთადერთი დღეა მთელი წლის განმავლობაში, როცა, საჭიროების შემთხვევაში, მირონის კურთხევა შეიძლება (ეს მირონი მღვდელმსახურებაში მირონცხების საიდუმლოს შესრულებისას და ტაძრის კურთხევისას გამოიყენება). ამ კვირაშიც მკაცრად ვმარხულობთ, თუმცა

"დიდი ხუთშაბათი", ზეთით ხსნილია, რადგან ეკლესიაში სრულდება სადღესასწაულო წირვა.

დიდ ხუთშაბათ საღამოს სრულდება დიდი პარასკევის ცისკარი, რომლის დროსაც ე.წ. "თორმეტი სახარება", ანუ ოთხი სახარებიდან ამოკრებილი 12 ნაწყვეტი იკითხება. მათში იესო ქრისტეს ის ვნებებია აღწერილი, რომლებიც ჯვარცმამდე შეემთხვა, დაწყებული მოწაფეებთან მისი უკანასკნელი საუბრიდან საიდუმლო სერობაზე, დამთავრებული მაცხოვრის სხეულის იოსებ არიმათიელის ბაღში დაფვლით და მისი საფლავისთვის მცველების მიჩენით.

თორმეტი სახარების მსახურების დასრულების შემდეგ მორწმუნენი ტაძრის შუაგულში დაბრძანებულ ჯვარცმასთან მიდიან, დიდი მეტანიით ემთხვევიან და ტაძარს ტოვებენ. ძველი ტრადიციის თანახმად, სანთელი, რომელიც თორმეტი სახარების კითხვისას ხელში გვეჭირა, ასევე ანთებული უნდა წავიღოთ შინ და შესასვლელი კარის თავზე სანთლის ალის კვამლით ჯვარი გამოვსახოთ. ამისთვის უნდა მოვამზადოთ ლამპარი, რათა სანთლის

(დასასრული || გვერდზე)

(დასასრული)

შინ ჩაუქრობლად მიტანა შევძლოთ.

დიდი პარასკევი

დიდი პარასკევის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ჯვარცმას, ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას იხსენებს. დიდი პარასკევის სერობა მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნასა და დასაფლავებას ეძღვნება და შუადღისას, ორ საათზე აღევლინება, რადგან სწორედ ამ დროს მიიცვალა ჯვარზე იესო ქრისტე. მსახურების დაწყებამდე ტაძრის შუაგულში მზადდება ამაღლებული, ყვავილებით მორთული სადგამი - "საფლავი", საკურთხეველში კი, წმინდა ტრაპეზზე, დააბრძანებენ გარდამოხსნას - მოხატულ ქსოვილს, რომელზეც საფლავში მყოფი მაცხოვარია ამოქარგული.

სვიმეონ ღვთისმიმრქმელის ლოცვის გალობისას შავ, სამგლოვიარო სამოსში გამოწყობილი მღვდელმსახური აკმევს გარდამოხსნას, რომელიც ჯერ კიდევ საკურთხეველშია დასვენებული, "მამაო ჩვენოს" გალობის შემდეგ კი ტროპარის, "მშვენიერმა იოსებ ძელისაგან გარდამოხსნა უხრწნელი გვამი შენი", გალობით მღვდელმსახურები წმინდა ტრაპეზიდან, როგორც გოლგოთიდან, აიღებენ გარდამოხსნას, თავს ზემოთ ასწევენ, საკურთხევლიდან გამოასვენებენ, ტაძარში შემოატარებენ და "საფლავში" დაასვენებენ. ამის შემდეგ სამღვდელოება და მლოცველები დიდ მეტანიას ასრულებენ გარდამოხსნის წინაშე და ეამბორებიან მას.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში არასრული სამი დღის განმავლობაში რჩება - მაცხოვარი ხომ აღდგომამდე სამი დღე იყო საფლავში.

დიდი პარასკევი მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე მარხვის დღეა, როცა მოძღვრის კურთხევით, მორწმუნეთაგან ზოგი მხოლოდ პურსა და წყალს იხმევს.

ძველი ტრადიციის თანახმად, ამავე დღეს, მზის ჩასვლამდე, წითლად იღებება სააღდგომო კვერცხები. კვერცხი, სიცოცხლის სიმბოლოა, წითლად შეღებვა კი იმისა, რომ ჯვარცმული მაცხოვრის სისხლით გამოსყიდულ კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე მიენიჭა. სააღდგომო კვერცხი აუცილებლად წითელი უნდა იყოს, ნებისმიერ სხვა ფერისას ქრისტიანულ ტრადიციასთან არაფერი აქვს საერთო.

დიდი შაბათი

დიდი შაბათის ღვთისმსახურება იესო ქრისტეს ხორცით საფლავში, სულით კი ჯოჯოხეთში ჩასვლას და, ბოლოს, მაცხოვრის მკვდრეთით აღდგომას ეძღვნება. ცისკარზე მღვდელთმსახურები "წმინდაო ღმერთოს" გალობით გარდამოხსნას ტაძრიდან გამოაბრძანებენ, ნიშნად იესო ქრისტეს ჯოჯოხეთში ჩასვლისა და სიკვდილზე გამარჯვებისა, ხალხის თანხლებით ტაძრის ირგვლივ შემოატარებენ. შემდეგ ისევ ტაძარში შეაბრძანებენ და ღია აღსავლის კართან მიიტანენ. ეს იმის ნიშანია, რომ მაცხოვარი განუყოფლად იმყოფება მამა ღმერთთან და თავისი ვნებითა და სიკვდილით კვლავ გაგვიღო სამოთხის კარი.

ბასილი დიდის საღვთო ლიტურგია, ანუ წირვა, ამ დღეს ჩვეულებრივზე გვიან იწყება და მწუხრს უერთდება. მღვდელი საკურთხეველში ტრაპეზთან კი არ მსახურებს, არამედ ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნასთან.

საწინასწარმეტყველოსა და სამოციქულოს წაკითხვიდან იწყება მზადება მაცხოვრის აღდგომის დღესასწაულისთვის. ამ დროს სამღვდელოების სამგლოვიარო შესამოსელი სადღესასწაულოთი იცვლება. მთელ ტაძარში შავი ფერები ნათლით იცვლება. ეს იმის ნიშნად ხდება, რომ მენელსაცხებლე დედებმა დილაადრიან, რიბირაბოზე, მაცხოვრის საფლავზე იხილეს ნათლით მოსილი ანგელოზი და მისგან ისმინეს ხარება იესო ქრისტეს აღდგომის შესახებ.

სადღესასწაულოდ შემოსილი დიაკვანი, როგორც ანგელოზი, გამოდის ტაძრის შუაგულში, გარდამოხსნის წინ და სახარების კითხვით ხალხს მაცხოვრის აღდგომას ამცნობს. წირვის დამთავრების შემდგომ აკურთხებენ ღვინოსა და პურს მლოცველთა სანუგეშოდ და განსამტკიცებლად. ამას "მოციქულთა საქმეების" კითხვა მოსდევს, რაც შუაღამიანის ლოცვამდე გრძელდება.

ღამის თერთმეტ საათამდე აღესრულება შუაღამიანი, რომლის დროსაც იკითხება დიდი შაბათის კანონი, მის დასასრულს კი სამღვდელოება ტაძრის შუაგულიდან აღსავლის კარით უხმოდ გადაასვენებს გარდამოხსნას საკურთხეველში, წმინდა ტრაპეზზე, სადაც ის უფლის ამაღლების დღესასწაულამდე რჩება, ნიშნად იმისა, რომ იესო ქრისტემ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ ორმოცი დღე დაყო ამქვეყნად.

ამის შემდეგ მორწმუნენი სასოებით ელიან შუაღამის დადგომას, როდესაც ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს, ბრწყინვალე აღდგომის უდიდესი დღესასწაული იწყება. ეს არის უსასრულო სიხარული მარადიული სიცოცხლისა და ნეტარებისა. ეს ის სიხარულია, რომელზეც თვით უფალმა თქვა: "უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან."

პატივი მიაგეს 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

მემორიალთან იმყოფებოდნენ მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, მუნიციპალიტეტისა და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები.

აღევლინა გმირთა სულების მოსახსენიებელი პანაშვიდი.

მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა გამართეს ღონისძიება და 9 აპრილს დაღუპულებს, სიმბოლურად, წითელი ტიტებით მიაგეს პატივი.

ღონისძიებაში აქტიურად იყო ჩართული მერის სათათბირო ორგანო- „ხაშურის ახალგაზრდული საბჭო"

9 აპრილის მემორიალზე გამართული ღონისძიებების ორგანიზატორები იყვნენ მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის სამსახური და ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანება.

„9 აპრილი საქართველოსა და ქართველი ხალხისთვის ერთდროულად არის ცრემლისა და სიხარულის დღე, 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიამ დასაბამი მისცა საქართველოს თავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პროცესს."- აღინიშნა ღონისძიებაზე

ხაშურში საქალაქო კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზის რეაბილიტაცია დასრულებულია

დასრულდა კულისებისა და ადმინისტრაციული ოთახების რეკონსტრუქციაც.

„ ამ ეტაპზე ინვენტარის შესაძენად მიმდინარეობს საპროექტო სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები, რაშიც ჩართულები არიან დიზაინერები, შესაბამისი დარგის სპეციალისტები. ასევე, აღსანიშნავია, სხვადასხვა მიმართულებით, „ხაშურის ახალგაზრდული საბჭოს" აქტიურობა"-აღნიშნა სამუშაოების დათვალიერებისას, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა-თენგიზ ჩიტიაშვილმა.

საქალაქო კულტურის სახლში იმყოფებოდნენ მერის პირველი მოადგილე გიორგი პაპიაშვილი და მერის მოადგილე ზვიად გოგუაძე, მათი განმარტებით, დარბაზში დამონტაჟებული თანამედროვე ტიპის გახმოვანების და განათების სისტემები, ძალიან მნიშვნელოვანია აკადემიური დონის ღონისძიებების ჩასატარებლად.

- სამშობლოს სიყვარულს შეწირული მამულიშვილები -

დეკანოზი იოსებ იოანეს ძე ბებიაშვილი (1864-1924)

დეკანოზი იოსებ იოანეს ძე ბებიაშვილი 1864 წელს სურამში, მღვდლის ოჯახში დაიბადა. პირველდაწყებითი განათლება გორის სასულიერო სასწავლებელში მიიღო. 1881-1887 წლებში კი თბილისის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა.

1888 წლის 24 იანვარს საქართველოს ეგზარქოსმა პალადიმ (რაევი) დიაკვნად აკურთხა, იმავე წლის 28 იანვარს, მღვდლად დაასხა ხელი და ახალდაბის წმინდა გიორგის სახელობის ტაძარში განამწესა. 1889 წლის 5 იანვარს, სურამის მაცხოვრის ფერისცვალების სახელობის ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

გაზეთი ,,მწყემსი“ 1907 წლის 24 მარტს აქვეყნებს სინოდის განჩინებას, სადაც ვკითხულობთ, რომ მღვდელი იოსებ ბებიაშვილი ,,მკერდის ჯვრით სინოდისგან ბოძებულით“ ჯილდოვდება.

ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულია, იოსების ქალიშვილის, თამარის მოგონებები თავისი ოჯახის შესახებ სადაც იგი იხსენებს: ,,მამაჩემი, იოსებ ივანის ძე ბებიაშვილი, სწავლობდა თბილისის სასულიერო სემინარიაში, როდესაც მან წარმატებით დაამთავარა სემინარია, მოსწერა მამას; ,,პატივცემულო ბატონო მამა! წარმატებით ვამთავრებ რა სემინარიას, უმორჩილესად გთხოვ მომცეთ ნება განვაგრძო სწავლა მოსკოვის უმაღლეს სასწავლებელში. თქვენი მოსიყვარულე და პატივისმცემელი შვილი იოსები”. პაპაჩემმა უპასუხა: ,,პაპაჩემი მღვდელი იყო, მამაჩემიც მღვდელი, მეც მღვდელი ვარ და შენც, ჩემო შვილო, მღვდელი უნდა გახდე, თორემ ხელს ავიღებ შენზე, განგირისხდები. შენი მამა” ეს თხოვნა და პასუხი სიტყვა სიტყვითასეიყოდაწერილი.მე, როგორც ოჯახის უკანასკნელმა წარმომადგენელმა, ეს წერილები და დედამამის მიწერ-მოწერა, დავწვი, რადგან არ მინდოდა, რომ ვინმეს ეკითხა და ექექა ჩემთვის ძვირფასი საგანძური. მამაჩემმა ვეღარ გაუბედა მამას უარის თქმა. მან ოღონდ მოსთხოვა: ცოლად ოღონდ ის ქალი მომაყვანინე, ვინც მე მსურსო. პაპაჩემს ამაზე დაურთვია ნება და ჯვარი ჩემ დედამამას და მამა აკურთხა მღვდლად.”

სურამში ბებიაშვილები სამღვდელო საგვარეულოდ ითვლებოდა ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ბოლოდან. არსებობს დოკუმენტი იმის შესახებ თუ, როგორ გადმოვიდნენ ისინი სურამში. ეს დოკუმენტი შედგენილია 1793 წლის 7 იანვარს. ,,არზა მურვანიშვილებისა სამართლის მიცემაზე იულონ ბატონიშვილი თქმით”. ,,ქ. ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მთას მონათ ერთობით მურვანიშვილების მოგვცეს. ამას მოგახსენებთ: როდესაც ჩვენი მამაპაპანი სურამს გხლებიან, იმ დღიდან იმ ჩვენს მამაპაპათ დამღაწაშვილებისგან მამულიც უყიდნიათ სასაფლაო და საყდარიცა, რომ წერილი აცხადებს, იმ დღიდამ დღევანდლამდის არცავინ გვედავებიან არცავის ჩვენთან სადაოდ საქმე ჰქონიათ. შაყდარი დაქცეული ყოპილა და პაპა-ჩვენებს თავი მოუდგამსთ და გაუახლებიათ.



ПРОКУРАТУРА
РЕСПУБЛИКИ ГРУЗИЯ
380003, г. Тбилиси
ул. Горгасали № 24
Телефон № ——— Телефон № 212277

12.01.94 №

ცნობა

მოქ. ბებიაშვილი (ბებიევი) იოსებ ივანეს ძე დან. 1880 წ. დახვრეტილი იქნა 1924 წლის აგვისტოში.

საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 26 მაისის დეკრეტის "1921-24 წ.წ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებულ პირთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის შესახებ" საფუძველზე მოქ. ბ.ბებიაშვილი (ბებიევი) რეაბილიტირებულია.

ერთიანი ეროვნული ხელისუფლების
ანმინის შესრულებაზე
განყოფილების უფროსი

გ. ყურაშვილი

ახლა ბებიაშვილები და ორიოდ კოლმნი კიდევ სხვა კაცნი მისულან თავიანთ თავად დ აიმ საყდრიდამ ჩვენის მამა-პაპით სახელი გამოუქცევიათ დასაყდარიც წაურთმევიათ. ღმერთი თქვენს ხელმწიფობას განაძლიერებს, ერთის ოქმის წყალობა მოიღევით ბეჟან მოურავს და მროველზედ, სამართალლი და საბუთები გაგვისინკონ და რომელიც სამართალი ღმერთმან დაანახვოსთ, წერილით მოგახსენონ. და იმათის მოხსენებულის მიხედვით თქვენგან სამართალი გვეღირსოს. იანვარს ზ, ქორონიკონს უპა. ქ. ყოვლად სამღვდელოვ მროველო იუსტინე და ამილახვარიშვილი სურამის მოურაო ბეჟან მინბასო! მერმე ამ აზრით ეს მურვანიშვილები რომ ასე ჩივიან, თქვენ მიდით სურამს, მოიკითხეთ და რაც შეიტყოთ, ღმრთის წინაშე ჭეშმარიტებით მოგვწერეთ. ღმრთის გულისათვის ამ საქმეზე ბეჯითნი იყავით. იანვრის ზ, ქორონიკონს უპა. ბეჭედი: ტომ-სქესით არ ნაკლისაგან იულონ ირაკლისაგან.” ჩანს ეს დავა ბებიაშვილების სასრგებლოდ გადაწყდა და ისინიც საბოლოოდ დამკვიდრდნენ სურამში. იოსებიც ამ საგვარეულოდან უნდა იყოს, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იოსების მამა თავის წინაპრებს სამღვდელოდ მიხსენიებს.

იოსებ ბებიაშვილი განათლებული მღვდელი იყო. ფლობდა ქართულ, რუსულ და ბერძნულ ენებს. სურამში მცხოვრები ბერძნებისათვის იგი წირვის ნაწილს ბერძნულად განაგებდა.

იოსები ბევრს ზრუნვდა ხალხის სულიერ და გონებრივ განვითარებაზე. იაკობ გოგებაშვილის მითითებით, მან პირველი ბიბლიოთეკა დაარსა სურამში. იოსებმა ორკლასიანი სასწავლებელი გახსნა საკუთარ სახლში, მას წვლილი მიუძღვის სურამში ქალთა საზოგადოება ,,მანდილის'' დაარსებაშიც, იგია ერთ-ერთი ინიციატორი სურამში სამკითხველოსა და საკვირაო სკოლის გახსნისა. აი, რას წერს ამის შესახებ 1902 წელს ჟურნალი ,,კვალი”: ,,14 ივლისს მოხდა სამკითხველოს წევრთა კრება ღვ. ბებიაშვილის თავჯდომარეობით... კრებაზე ის საკითხი იყო წამოყენებული, თუ, როგორ უნდა გაეუმჯობესებინა ღარიბი სამკითხველოს მდგომარეობა... 23 ივლისს მოხდა კრება, (მათ შორისაა სურამელი მღვდელი ციცქიშვილი). კრება მით არის შესანიშნავი, რომ პირველათ წამოყენებულ იქნა კითხვა საკვირაო სკოლის დაარსების შსახებ. ეს მეტათ სიმპატიური საკითხია, რადგან სურამელ გლეხთა შორის ასში მხოლოდ სამმა იცის წერა-კითხვა და თუ წერა-კითხვა ეცოდინებათ ეს ხომ დიდი ბიჯი იქნება პროგრესის გზაზე. ამ საკითხს კრება სიხარულით მიეგება... ეხლა უნდა ამოერჩიათ ამ საქმის მოთავე კაცი. დაასახელეს ღვ. ციცქიშვილი, ოქმი გაიგზავნა დასამტკიცებლად სადაც ჯერ არს. დარწმუნებული ვართ, ცოტა ხანში სურამელებსაც გვექნება საკვირაო სკოლა, თუ ღვ. ბებიაშვილი ენერგიულად მოეკიდება ამ საკეთილო საქმეს,



რისაც სრული იმედი გვაქვს...” ამ “საკეთილო” საქმესაც სხვა მრავლთან ერთად მღვდელი ბებიაშვილიც ედგა სათავეში.

იოსები ხშირად საჩივრებსაც ისმენდა. მისი ქალიშვილის - თამარის მოგონებებში ვკითხულობთ: ,,მახსოვს ერთხელ.... თავადი ლევანი (ხიდირბეგიშვილი), თავმომწონე, ყურთმაჯებიანი ჩოხით მოვიდა ჩვენთან და მამაჩემს შესჩივლა: - მამაო! რა მიქნა ამ ჩემმა შვილმა! (შაქრომ) _ რაშია საქმე ბატონო ლევან? - შეეკითხა მამაჩემი. _ ერთი თვე მეხვეწებოდა ჩემი შაქრო, დამიმტკიცე მამულიო, მეც ავდექი და დავუმტკიცე მის სახელზე, იცი რა გააკეთა? სულ გლეხებს დაურიგა, ლამის გული გამისკდეს! მამაჩემმა ღიმილით უთხრა: - დაწყნარდი თავადო! აბა რათ გინდათ მაგოდენი მამული ერთ კაცს? მე, რომ ხუთი შვილის რჩენა და სწავლა არ მაწუხებდეს, ამ ჩემს ყანასაც მივცემდი გლეხებს და მარტო ეზოს დავიტოვებდი. გლეხებიც ცოდონი არიან, შრომობენ, წვალობენ, მეტ წილს თქვენ გაძლევენ, თითონ ნახევრად მაძღარნი და ტიტვლები დაიარებიან; - დეკანოზო! შენც ხომ არ სოციალისტობ? - ბრაზიანად შეეკითხა სტუმარი მამას. არა, ბატონო, მე სამართლიანად ვმსჯელობ და თქვენ რაც გინდათ ის დაარქვით ჩემ სიტყვებს - უპასუხა მამამ. ამის შემდეგ თავადი ლევანი გაგვებუტა აღარ იყო ისეთი თავაზიანი მამაჩემის მიმართ.”

იოსებს ჰყავდა მეუღლე პელაგია და ხუთი შვილი. მისი ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები. ,,ჩვენს ოჯახში რამდენჯერმე ყოფილა ჩამოსული იაკობ გოგებაშვილი სტუმრად. პატარა ვიყავი მან მაჩუქა ,,იავნანამ რა ჰქმნა''. ერთი ზაფხული ჩვენს ოჯახში გაატარა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. მე იმ ზაფხულს მოკლე ხნით ვიყავი ჩამოსული სახლში არ მქონია საშუალება პირადათ მომესმინა საუბარი, დედამ კი მითხრა: ,,ბ-ნ ივანემ მითხრა: ,,ისე კარგად ვისვენებ და ვმუშაობ თქვენს სახლში, ნეტავ სულ თქვენთან მამყოფაო”. ხშირად ჩამოდიოდა ჩვენთან სოფრომ მგალობლიშვილი მეუღლით, ნატო გაბუნია ცაგარელისა... ერთი ზაფხული ჩვენთან გაატარა ცოლშვილით კორნელი კეკელიძემ” - იხსენიებს იოსების შვილი თამარი.

1906 წელს, გაზეთი ,,ცნობის ფურცელი” იტყობინება, რომ ,,როგორც სურამიდან გვატყობინებენ იქ შეპყრობილია ადგილობრივი მღვდელი ბებიაშვილი,” მარგამ მალევე გაუნთავისუფლებიათ იოსები ხოლო 1924 წელს მეორედ დაუპატიმრებიათ და შინ ცოცხალი აღარ დაბრუნებულა. დაპატიმრების დღეს ოჯახში ეტლით გამოცხადებულა სამი შინსაკხომელი (ჩეკისტი), წაუყვანიათ იოსები და უკან დაუბუნებიათ. მღვდლის ოჯახს ჩამოართვეს სახლ-კარი, ეზო, მამული და ოჯახი გარეთ გამოყარეს, ხოლო იოსები 1924 წელს დახვრიტეს. დახვრეტას ხელი მოაწერა ფილიპე მახარაძემ. ფილიპე და იოსები ძალზედ ახლო მეგობრები ყოფილან სემინარიიდან. სემინარიაში ერთად დაუწყიათ სწავლა და ერთად დაუმთავრებიათ. უსახსრობის გამო, ფილიპეს ოზურგეთში საკუთარ ოჯახში ხშირი ჩასვლა უჭირდა და თბილისიდან იოსებთან ერთად სურამში ჩამოდიოდა მეგობრის ოჯახში.

როცა იოსების ოჯახს გაუჭირდა, იოსების მეუღლე პელაგია წავიდა თბილისში ფილიპე მახარაძის სანახავად. პელაგიას ფილიპესთან შეხვედრაზე უარი უთხრეს, მაგრამ პელაგიამ მდივანს უთხრა, რომ მახარაძისათვის მოეხსენებინათ თუ ვინ ითხოვდა მასთან შეხვედრას. ამის შემდეგ ფილიპე თვითონ გამოსულა, გადახვევია პელაგიას და იოსები მოუკითხავს, პელაგიას გული შეწუხებია, რომ მოუბრუნებიათ, ფილიპე შეკითხვია - რაშია საქმეო? როგორ თუ რაშია საქმე, დახვრეტაზე ხელი მოაწერე და მე მეკითხები როგორ არისო? ფილიპესაც შეუცხადებია და უთქვამს: სურამში ვიღაცამ უმტრო და მე ალბათ შემომაპარესო.

ფილიპე მახარაძემ პელაგიას დაუბრუნდა ჩამორთმეული სახლ-კარი და საკარმიდამო მიწის ნაწილი. 1994 წლის 17 იანვარს, გამოქვეყნდა ცნობა იოსებ ბებიაშვილის რეაბილიტაციის შესახებ. ცნობა - ,,მოქ. ბებიაშვილი (ბებიევი) იოსებ ივანეს ძე დაბ. 1880 წელს დახვრეტილი იქნა 1924 წლის აგვისტოში. საქართველოს სახელმწიფო საბჭოს 1992 წლის 26 მაისის დეკრეტის ,,1921-24 წ.წ. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მონაწილეობისათვის რეპრესირებულ პირთა მიმართ სამართლიანობის აღდგენის შესახებ” საფუძველზე მოქ. ბებიაშვილი (ბებიევი) რეაბილიტირებულია. შესრულებაზე ზედამხედველობის განყოფილების უფროსი გ.ყურაშვილი

ასეთია სამშობლოს სიყვარულს შეწირული ერთი სურამელი მღვდლის ტრაგიკული ისტორია.

მ. დანდურიშვილი, ხაშურის I საჯარო სკოლის დირექტორი

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3, #4,5,6,7,8,9,10,11,12,15,15,17,18. #36,37,38,39,40,41,42,46,47. „ხმ“ 2025წ, #1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13).

კოტილაური - ადგ., მინდორი, ტყე დასავლეთის მხარეს.
კოტილაურის ღელე - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს. ,,პატარა ღელეა. ზამთარში და გამოზაფხულზე ჩამოდის მხოლოდ”.

მიხოს ჭალა - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,მიხო გელაშვილი იყო. ალბათ მისი იყო”.

მუხნარი - ადგ., ტყე აღმოსავლეთის მხარეს. იგივე ხლეწილები.

ნათლისწყალი - ადგ., წყარო აღმოსავლეთის მხარეს. ,,კლდეა, ქვა არის გამოღებული და აქ გადმოდის. ტილიანას და ბრილის წყლის შესართავთან არის. ამ წყალს, რომ აავსებდი თუ გინდ ორი თვე დაგედგა, არ ფუჭდეოდა. ამბოენ, რომ მღვდლის ჯვარი არის გავლებულიო”
ნაირას წყარო - ადგ., წყარო სამხრეთის მხარეს.
ნასახტრები - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს. ,,აქ ნაეკლესიარიც არის. ცხვარიც აჰყავდათ და წირავდნენ. აქ ქვევრებიც ნახეს”.

ნაძვნარი - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ნაძვნარია გაშენებული, ადრე სახნავი იყო”.

ნოზაძეების უბანი - ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში.

პატარა საყარი - ადგ., საძოვარი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,იმოდენ საქონელს ვერ იტევდა, რასაც დიდსაყარი”. რ ა კ რ ა კ ა - ადგ., წყარო ჩრდილოეთის მხარეს. ,,კლდეა, შავი ქვის დიდი კლდე. მასში გამოდის. სოფელშიც ჩამოიყვანეს. კარგი, ცივი წყალია”.

სათიხეები - ადგ., მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,სულ წითელი მიწაა”.

საყრები - ადგ., საძოვარი, მინდორი. იგივე დიდსაყარი და პატარა საყარი.
საჯვარე//საჯვარეები - ადგ., მინდორი, საძოვარი

ჩდილო-დასავლეთის მხარეს. ,,აქ ჯვარი იდგა, მასზე ნალები იყო გაკეთებული, სხვა არაფერი არ ყოფილა”.

სერი - ადგ., სერი, მთა დასავლეთის მხარეს. იგივე დიდსერი.
სილამიწები - ადგ., მინდორი სამხრეთის მხარეს. ,,სილა მიწაა, მოუსავლიანი ადგილია”.

ტახტიმიწები - ადგ., სახნავი, საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს. ,,აღმართი იყო, გუთანი რომ ვერ მუშაობდა, ტერასებივით იყო გაკეთებული”.
ტბები - ადგ., ნატბეური ჩრდილოეთის მხარეს.

ტილიანა - მდინარე. ,,ჩამოდის მთიდან ცედანში, წაბლოვანაში არ გამოივლის, სოფლის ბოლოში უერთდება ბრილიდან გმავალ წყალს. მიედინება ლუბრუმისაკენ, ჩადის სატივეში და უერთდება სურამულას”.

ფიჭვნარი - ადგ., ტყე, სათესი ჩრდილოეთის მხარეს. ,,დიდსერი, საჯვარე, დიდვაკე სულ ფიჭვნარია”.

ქვევრის წყარო//ქვევრის წყალი - ადგ., წყარო აღმოსავლეთის მხარეს. ,,დიდსაყდარზე იყო. ქვევრი იყო ჩადგმული, ძირი არ ჰქონდა. აქ ამოდიოდა წყალი. იყო ერთი ორფუთიანი ქვევრი, მის თავზე გადოდიოდა წყალი. დასალევად ვიყენებდით”.
ქოხების ღელე - ადგ., ღელე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ამ ღელეს ქმნის მთიდან გამომავალი წყლები, ჩადის ბრილში. აქ მწყემსებს ჰქონდათ გაკეთებული ქოხები”.

შაქროს ახო - ადგ., საძოვარი, ტყე სამხრეთის მხარეს.

ჩიტოს ნასახლარი - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ჩიტო გელაშვილი დაბლა სახლებულა, სოფლის შესასვლელთან”.
ჩიტოს წისქვილი - ადგ., ნაწისქვილარი სამხრეთ-აღმოსავეთის მხარეს. ,,დიდსაყდართან არის ახლოს”.

ჩხოკეები - ადგ., საძოვარი, ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,სოფლის თავზეა. აქ ტყე ყოფილა ადრე, მუხნარი. გაუჩეხიათ. მახსოვს მსხვილი ჯირკვები იყო. რომ ამოყრილა, საქონელი გადაძოვდა ხოლმე. ჩირგვნარი არის ერთმანეთში გადახლართული. ტოტი ტოტში იყო გაყრილი. იმ ჩხოკეებში რა ივლისო, - იტყოდნენ ხოლმე”.

წმინდა გიორგის ეკლესია - ადგ., სალოცავი, ეკლესია ჩრდილოეთის მხარეს.

ჭანგები - ადგ., საძოვარი, სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,კორდი მიწების დაბლაა, ვაკეში. ჭანგიმიწებს ვეძახით. ჭანგა ამოდიოდა, ძნელი დასამუშავებელი იყო”.

ჭიების ტყე - ადგ., ტყე სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ აბრეშუმის ჭიები გამოყავდათ”.

ჭიშკანაური - ადგ., აღმოსავლეთის მხარეს. “ტახტიმიწებამდე არის”.
ხვირჯინები - ადგ., საძოვარი დასავლეთის მხარეს. ,,შუაში დიდი ხრამი აქვს. როგორც ხურჯინს აქვს გადასაკიდებელი, ისეა ამ ხრაამზე გადაკიდებული საძოვარი”. ხლეწილები//ხლეწილი - ადგ., ტყე, მინდორი აღმოსავლეთის მხარეს.

ხოროეები - ადგ., ტყე ჩრდილოეთის მხარეს. ,,ქოხების ღელეს უძახიან ხორეებს”.

ცხრამუხის სათემო საკრებულო
სოფელი დ ა მ ხ ჩ ე უ ლ ა

ანაგარა - ადგ., ნასოფლარი, მინდორი აღმოსავლეთის მხარეს. ,,კურტანიძეები ცხოვრობდნენ, ახლაც ცხოვრობენ, იქნება ოთხი კომლი”(ნ. გორგაძე-ტალახაძე). ,,ანაგარაზე, სადაც ახლა ნაეკლესიარია, ფურღნალიდან, დაახლოებით ორი კილომეტრის მანძილიდან გამოდიოდა თიხის მილებით წყალი. ეს მილები მოყვებოდა გზას. ეს იქიდან მტკიცდება, რომ დაახლოებით 60 წლის წინათ მინახავს შეშის ზიდვით გაცვეთილ გზაზე თიხის მილები. ბავშვები ნაჯახებითა და წალდებით ვამტვრედით, მაგრამ გვიჭირდა გატეხვა, ისე მაგარი იყო”(ა. ტაბატაძე).

ანაგრის წყარო - ადგ; წყარო ჩრდილოეთით.

ანწლის სვანი - ადგ., სვანი დასავლეთის მხარეს.

ახოები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ბ ა რ ბ ა ქ ა ძ ე ე ბ ი / / ბარბაქაძეების ნასახლარი - ადგ., ნამოსახლარი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. `ღორინამკლის ძირიდნ წყაროების გამო გამოდის პატარა ხევა. მას უერთდება სახელმწიფოს მთიდან ასეთივე პატარა ხევა. ამ ორ ხევს შორის ერთ დროს იყო სათესი მინდვრები. ახლა ფიჭვია გაშენეული. იყო სოფელი მთის ძირას, რომელსაც ბარბაქაძეებს ეძახდნენ. ბავშვობაში ვეტყოდით ხოლმე უფროსებს: -საქონელი ბარბაქაძეების ნამოსახლარზე გვყავდაო. აქ გვინახავს ბავშვობაში ქვითკირის ნანგრევები, ნამოსახლარები, აქვე ჰქონდათ ორი კალო, სადაც პურის თავთავს ლეწავდნენ. ეს ნაკალოვრები ახლაც ეტყობა. ეს ხალხი, როგორც წინაპრებისაგან გამიგონია, კახეთში გადასახლებულა. ამ ნამოსახლარებს შორის ბავშვობაში გვინახავს ბლის მოზრდილი ხეები”.

ბებრის წყარო - ადგ; წყარი პირველ დამჩხეულაში.

ბესიას სვანი - ადგ; სვანი დასავლეთით. ,,ბესია ტაბატაძე იყო“.

ბომბლარი - ადგილი, ლომიძეების ღელის დასავლეთით, ზემოთ. ,,თოვლის ჩამობობლა იცის ხოლმე”. ბოსტნის მიწა - ადგ., სათსი. გოგალაძეებს შორის 1947 წლის 13 დეკემბრის გაყრის განაჩენით, არჩილ პავლეს ძე გოგალაძეს ერგო ,,...ბოსტნის მიწის ნახევარი ჩრდილო მხარეს”, ხოლო გრიშა არჩლის ძე გოგალაძეს `ბოსტნის მიწის სამხრეთ მხარე” .

გადასაბმელი _ ადგ; გზა. ,,ციცაბო გზის დასასრული, აქედან იწყება ვაკე. აქ ხდებოდა ხის მორების გადაბმა და ხარი მეტს ერეოდა”. ,,დამჩხეულიდან, რომ ამოივაკებ ანაგარისკენ, იმ ადგილს ვეძახდით. ხე-ტყეზე რომ მუსაობდნენ, აქ თავქვე იწყება. გადაბამდნენ ხეებს და ნელა ჩაქონდათ“.
გაკოდილი - ადგ; კლდე. ,,კლდეა გაჭრილი, სხვანაირად ვერ გადიოდნენ აღმოსავლეთის მხარეს“.

განი გზა - გზა ანაგარის ძირში დასავლეთის მხარეს. ,,განივად გადის მთის ძირში გზა”.
გვერდო - ადგილი სამხრეთის მხარე. ,,სერია, გადავიხედავდით და გვერდო იყო დიდი”.

გოგალაძეების უბანი - უბანი დამჩხეულა მეორეში. დაბლა კურტანიძეები - უბანი.

დამჩხრეულა - მდინარე, ერთვის მტკვარს ს. დამჩხეულასთან.

დიანოზის ახო - ადგ; აღმოსავლეთით. ,,ახლა ფიჭვნარია, კურტანიძე იყო მგონი“.

დიდი ანაგარა - ადგილი, იგივეა, რაც ანაგარა.
ეკლარი - ადგ., მინდორი, ფერდობი აღმოსავლეთის მხარეს.
ვაკეები - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.
ვანოს ჭალა - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს, მტკვრის გასწვრივ ,,ეკუთვნოდა ვანო ტაბატაძეს, ამჟამად აღარ არსებობს წყალმა წაიყო”.
ვარდენას სათუთუნე - ადგ., ახო, მინდორი. `სახერგებიდან ღორინამკლისკენ მიმავალ გზაზეა, სადაც ვარდენა ტატბატაძეს თუთუნი ეთესა ხოლმე“. ,,აქ თუთუნს თესავდა ვარდენა ტაბატაძე“.

ზაქარას ჭალა - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ვანოს ჭალის თავზე, სამხრეთით, ეკუთვნოდა ზაქარია ტაბატაძეს”.

ზედა კურტანიძეები - ადგ; უბანი სამხრეთით. ,,ესაზღვრება ანაგარას, მესამე დამჩხეულას თავზეა“.

თედოს ახო - ადგ; ჩრდილოეთით, ,,ახლა ფიჭვნარია, თედო ტაბატაძე იყო“.

თედოს წყარო - ადგ; წყარო დასავლეთით. ,,ტაბატაძეებსადა გოგალაძეებს შორის არის“.

თეთრი ქვა - ადგლი, გზა. `შუა გზა ტყის პირიდან გადასაბმელამდე. იყო თეთრი ქვა ამჟამად აღარ არის”.

თირის კლდე - ადგილი სოფელში.

კალოები - ადგილი, მინდორი ჩრდილოეთის მხარეს.

კაპნარი - ადგილი. ,,კაპი - ამონაკვეთი რტო, მოგრძედ მოკვეთილი. ამონახეთქი შტო, მოგრძედ მოკვეთილი“.

კარებიანი კლდე//კდეკარი - ადგილი დასავლეთით. ,,ვიწრო გასასვლელია. ორი მხრიდან კლდეა. კარები ნქონიათ გაკეთებული“.

კვალი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,წყლის კვალი ჩადის”.
კვალის მიწა - ადგილი დამჩხეულა პირველში. კურტანიძეების 1941 წლის გაყრის განაჩენით ნიკალა ქრისტოს ძე კურტანიძეს ერგო `უძრავი ქონებიდან ვენახი ნამყენი .

კონცხი - ადგილი სამხრეთის მხარეს. ,,ანაგარას წვერი, უკან დიდი მინდორი აქვს”.

კოტიას გადასახვევი - ადგილი გზაზე, სადაც ვინმე კოტია ხარები გადავარდნია.

კურტანიძეების ახო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს.

ლექსიას ქოხი//ახო - ადგ; მინდორი სამხრეთ-დასავლეთით.

ლომიძეების უბანი - უბანი დამჩხეულა მესამეში. ,,ლომიძეების უბანი თავდაპირველად იყო ღორინამკლის ღელის ნაპირზე, ხევში. ერთი ნაწილი წყაროსთავის ღელის ნაპირზე. თოვლის ზვავები იცოდა, შემდეგ ამოვიდნენ და დასახლდნენ აქ. წარმოშობით ხუნევიდან ვართ ლომიძეები”.

ლომიძეების ღელე - ღელე დასავლეთის მხარეს.
მეორე დამჩხეულა - ადგ; უბანი

მესამე დამჩხეულა - ადგ; უბანი

მუხის ყანა - ადგ., სახნავი სამხრეთით. ,,მუხნარის შუაში სახნავი იყო”. მუხნარი – ადგილი სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს. ,,მუხნარია, ფეხის გზაა”. ,,დამჩხეულასა და ზედა კურტანიძეებს შორის, აქ ადრე დიდი მუხრანი ყოფილა”. ,,მუხნარი იყო. ახლაც არის დარჩენილი ჯირკები“. მშრალი ღელე - ადგ; ღელე დასავლეთით. ,,უმეტესად ხშირად მშრალია“.
ნაეკლესიარი - ადგ; ეკლესიის ნანგრევები. `ანაგარაზე მესამე მინდორზე არის ნანგრევები, დგას ორი უზარმაზარი სოჭი. აქ ყოფილა წმინდა გიორგის სახელობის ეკლესი”.

ნაკალოვარი - ადგ., მინდორი ჩრდილო-დასავლეთით. ,,ეტყობა ადგილები მრგვლად რომ არის“.

ნალობიერი - ადგ; ტყე აღმოსავლეთით. ,,ადრე მინდორი იყო, ახლა ფიჭვნარია“.

ნამწვი - ადგილი ანაგარაზე, სახერგების დაბლა. ,,ერთ დროს ცეცხლს გადაუწვია”.

ნარუჯი - ადგილი დამჩხეულა მეორეს თავზე. ,,ერთ დროს დამწვარა აქ ტყე და ამის გამო დაურქმევიათ”.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- 14 აპრილი - ქართული ენის დაცვის, დედაენის დღეა -

ფატი კურტანიძე: 1978 წლის 14 აპრილი ეროვნული სულის აღზევების დღედ იქცა

1978 წლის 14 აპრილის საპროტესტო დემონსტრაციაზე ბევრი რამ წამიკითხავს, მაგრამ თვითმხილველის და უშუალოდ ამ დემონსტრაციის მონაწილის საუბარი მაინც უფრო შთამბეჭდავია. ამტომაც ვთხოვე ინტერვიუ ჩემს პედაგოგს, ხაშურის #1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს **ფატი კურტანიძეს,** რომელიც სიამოვნებით დამთანხმდა. ვფიქრობ, მის ნაამბობს ფართო მკითხველიც ინტერესით გაეცნობა.

- ქალბატონო ფატი, ვიცით თქვენი სტუდენტობის წლები ამ ფაქტს უკავშირდება და ხართ თვითმხილველი, მეტიც, აქტიური მონაწილე 1978 წლის 14 აპრილის საპროტესტო დემონსტრაციისა. ამ დღეს, 14 აპრილს, პოზიტიურად იგონებთ თუ ნეგატიურად? ოპტიმისტური განწყობა თუ გქონდათ?

- გულწრფელად მოგახსენებთ, ცხადია, პოზიტიურად ვიგონებ, რადგან ყველაფერი კარგად დამთავრდა, ქვეყნისთვის სასიკეთოდ- საქართველოს სახელმწიფო ენად დარჩა ჩვენი მშობლიური ენა.

განწყობა იყო ოპტიმისტური, გენეტიკურად ვართ ქართველები ასეთი ბუნებისანი, უკიდურესი გაჭირვების დროსაც კი არ ვკარგავთ იმედს და ალბათ, სწორედ ამაშია ჩვენი გადარჩენის საიდუმლო.

- როგორი პოლიტიკური ვითარება იყო ამ პერიოდში? გრძნობდით თუ არა, როგორ მზადდებოდა ნიადაგი, როგორი იყო თქვენი მოლოდინი?

1978 წელი. ეს ის პერიოდია, როდესაც თვლიდნენ, რომ საბჭოთა კავშირში სოციალიზმი ყველაზე მეტად განვითარდა. თავს იწონებდნენ იმპერიის მეთაურნი, თითქოს აღარც რეპრესიები იყო და არც ვინმეს უფლება ილახებოდა, რა თქმა უნდა, ეს ასე არ იყო. ციხის ჯურღმულებსა და გადასახლებაში ისევ იტანჯებოდნენ ქვეყნისთვის თავგანწირული ადამიანები, მაგალითად ჩვენი ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას ხსენებაც იკმარებდა პოლიტიკური ვითარების ასახსნელად და რუსული ვერაგული ზრახვის ამოსაცნობად გამოგვადგება ის ფაქტი, რომ 1978 წლის კონსტიტუციაში აპირებდნენ, არ დაეფიქსირებინათ, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული ენა, ეს ნიშნავდა, რომ მხოლოდ სალაპარაკო, საურთიერთო ენად შეგვრჩებოდა ჩვენი მშობლიური ენა და თანდათან მასაც რუსული ჩაანაცვლებდა, ცხადია, სკოლებსა და დაწესებულებებში ყველანაირი საბუთი ოკუპანტის ენაზე შეიქმნებოდა, როგორ წარიმართებოდა კონსტიტუციის დამტკიცების პროცესი, არავინ იცოდა, რადგან იმპერიისაგან ყველაფერი მოსალოდნელი იყო, მით უფრო, რომ წინ გვქონდა მაგალითი იმისა, თუ როგორ ჩახოცეს ქართველები 1956 წელს.

- ძალიან ბევრი ინფორმაცია მინახავს ინტერნეტში, მომიძიებია, წამიკითხავს, მაგრამ ზეპირი ისტორიები არ მომისმენია, მინდა პირადად შევიგრძნო და გავხდე წარმოსახვით მონაწილე ამ მოვლენების. მაინტერესებს თქვენი ემოციები და ფსიქოლოგიური მდგომარეობა იმ პერიოდში?

რაც შეეხება ემოციებსა და ფსიქოლოგიურ მდგომარეობას, ეს იყო მღელვარე პერიოდი და ჩვენც ასე ვგრძნობდით თავს. ახალგაზრდა ისედაც დაუდგრომელია, მგრძნობიარე, უშიშარი და ამ დღეების მუხტმა ეს განცდები კიდევ უფრო გაზარდა და ააბრიალა. შევეცდები, ისე გადმოგცე იმ მღელვარე პერიოდის მოგონებები, რომ მართლაც ჩემ თანატოლად და თანამოაზრედ იგრძნო თავი.

-რა იყო ის პირველი ნაბიჯები, რითაც დაიწყო ეს უდიდესი მოვლენები?

ჩვენ მაშინ პირველ კურსზე ვიყავით. ჯავახიშვილის დაარსებულ უნივერსიტეტსისმადლიცქონდა,რომსაკუთარიფუნქციაცგაგვეცნობიერებინა და, ზოგადად, ადამიანის უმთავრესი დანიშნულებაც. სამშობლო ჩვენი საფიცარი ხატი გახდა, უკვე გააზრებულად, საქმის შეჯერებით სიტყვასთან. უნდა გვებრძოლა ეროვნული ღირსების დასაცავად. თავდაპირველად, დაიწყო თუ არა კონსტიტუციისთვის მზადება, უფროსკურსელებმა შემოიტანეს ფურცლები, რომლებზეც აღნიშნული იყო, რომ ვითხოვდით 75-ე მუხლის ასე ჩამოყალიბებას -„საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენა არის ქართული“, მე და ჩემმა თანაკურსელებმა მოვაწერეთ ხელი ამ მოთხოვნას, ეს ადვილად ითქმის, მაშინ კი გარკვეულ რისკთან იყო დაკავშირებული, ეს რომ გაგებედა. მე და ჩემი მეგობარი მანანა კობაიძე მაშინ ერთად ვცხოვრობდით. დედაჩემი დაგვხვდა რაიონიდან ჩამოსული, აღელვებულებმა ვუამბეთ ყველაფერი. დედამ, რომელმაც შემაყვარა ჩემი ქვეყანა, დაგვამშვიდა და მოგვიწონა ჩვენი გადაწყვეტილება ხელმოწერებთან დაკავშირებით, ვინ იდგა ამ ყველაფრის სათავეში, არავინ იცოდა, მაგრამ ფაქტია, დაიწყო კონსტიტუციის განხილვა, რაც საბჭოეთისთვის უცნაური იყო, რადგან არავინ გვეკითხებოდა აზრს იმის შესახებ, რომელი კანონი მოგვწონდა და რომელი არა, მერე კი გათენდა 14 აპრილი - ეროვნული სულის აღზევების დღე, სწორედ იმ დღეს გადაწყდებოდა, თუ როგორ ჩამოყალიბდებოდა 75-ემუხლი.

ძალიან დიდი გამბედაობა სჭირდებოდა იმას, რომ იმ პერიოდში რუსეთის წინააღმდეგ წასულიყავი, თუმცა ეს შეძლეს ქართველებმა, იმის გამო, რომ მშობლიური ენა დაეცვათ. რა თქმა უნდა, რუსები ამას უყურადღებოდ არ დატოვებდნენ, ამიტომ რა მოიმოქმედეს მათ?

1978 წლის 14 აპრილმა ყველა დაგვარწმუნა ქართველი ერის სულიერ სიმტკიცესა და გამბედაობაში. ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ქართველი უშიშარია და ერთიანიც, ეს განსაკუთრებით ახალგაზრდობაზე ითქმის, რომელიც არ ეპუება განსაცდელს, ასე იყო იმ დღესაც - რუსეთის იმპერიას ტანკებიც მზადყოფნაში ჰყავდა და ჯარიც,ეგრეთ წოდებული,მერვე პოლკი, მაგრამ სტუდენტობას მაინც არ შეშინებია...

უნივერსიტეტის ეზოდან რუსთაველისკენ დაძრულებს საოცრად ამაღელვებელი განცდა გვქონდა, უფროსები პირჯვარს გვწერდნენ ,რადგან შიშობდნენ... რამდენიმე ცნობილი ადამიანის სახე მახსოვს. ისინი მოგვდევდნენ და უკან დაბრუნებას გვთხოვდნენ,მაგრამ ამ დაძრულ,ერთიან,თავგანწირულ ხალხს უკან ვიღა მიაბრუნებდა. შემოგვიერთდნენ სამედიცინო და ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები,შოთა რუსთველის ძეგლთან სტუდენტმა გოგონამ წაიკითხა.. ლექსი „ხმა კატამონთან“, ეს ლექსი წარმოთქვა ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა თამრიკო ჩხეიძემაც,რომელიც პოლიციის მანქანაზე აძვრა. რაც შეეხება პოლიციას,ის ჩვენს მხარეს იყო...ისინი თვალით გვანიშნებდნენ და ჩვენც ოდნავი ძალა გვჭირდებოდა მათი ჯაჭვის გასარღვევად. პირველად ვხედავდით ასეთ ჰუმანურ ძალოვნებს...მერე ასეთივე დამოკიდებულება ჩანდა მათგან 1989 წლის ნოემბერ-აპრილის გამოსვლებში... ეს იყო ერთ მუშტად შეკრული საქართველო, რომლის წინაშე იმპერიაც უძლური აღმოჩნდა და უკან დაიხია.

კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა ქართულია, ჩვენ გავიმარჯვეთ - მართლებმა, უშიშრებმა, უიარაღოებმა.

- საბოლოოდ რა შედეგებით დამთავრდა ეს მოვლენები?

„სამშობლოს განცდა გასაკვირველი“ იმდენად დიდი იყო, რომ დაშლა აღარ გვინდოდა, მიუხედავად იმისა, რომ დეპუტატები ჩამოდიოდნენ და გვიმტკიცებდნენ, რომ ყველაფერი რიგზე იყო, სანამ თავად შევარდნაძემ პირადად არ გამოგვიცხადა, რომ საკითხი გადაწყვეტილი იყო, ფეხი არ მოგვიცვლია. მეორე დილით პირველი ლექცია ანტიკური ლიტერატურის ისტორიაში გვქონდა.აუდიტორიაში შემოვიდა ჩვენი საყვარელი ლექტორი,ბატონი რისმაგ გორდეზიანი,რომელმაც მადლობა გადაგვიხადა,მერე კი დაამატა-ჩვენმა ახალგაზრდობამ იცის,როდის დაიწყოს და როდის დაამთავროს უმნიშვნელოვანესი საქმე .ჩვენთვის მის სიტყვას ფასი ჰქონდა და თავი გვეამაყებოდა იმ შედეგით,რომელიც გამარჯვების ტოლფასი იყო.

შედეგი კი, როგორც მოგახსენეთ, ის იყო, რომ გადარჩა ჩვენი მშობლიური ენა, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. გარდა ამისა, პიროვნულად გავიზარდეთ, თანაც გავარკვიეთ, რომ „ცარიალ მშვიდობას“ შეიძლება მეტად სახიფათო მახეები ჰქონდეს დაგებული, ამიტომ ფხიზელი თვალითა და გონებით უნდა ვიცხოვროთ, რომ მტერმა არ დაგვაბეჩავოს და „ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს“.

დიდი მადლობა, ქალბატონო ფატი, საინტერესო ინტერვიუსთვის, მე, ფაქტობრივად, თნამონაწილე გავხდი ამ მცირე ხნით, იმხელა ემოცია მოვიდა ჩემამდე.

პირიქით,დიდი მადლობა შენ, რომ მომეცა შანსი, გამეხსენებინა სიხარულისა და ბედნიერების მომგვრელი პერიოდი, რომელიც ძალიან მიყვარს და მეამაყება.

ნანუკა ბარბაქაძე,

ხასურის #1 საჯარო სკოლის კურსდამთავრებული

მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

10 აპრილს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა, ლევან გამრეკელის თავმჯდომარეობით.

საკრებულომ მხარი დაუჭირა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ პროექტებს:

„სოფელ წაღვლში და სოფელ ჩორჩანაში ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.”

„ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტის მონაწილეობითი ბიუჯეტის განხორციელებისათვის გათვალსწინებული თანხის მოცულობის განსაზღვრის და განაწილების შესახებ“.

სხდომაზე დეპუტატებმაგანკარგულების პროექტს „2025 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისათვის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ დაუჭირა მხარი.

სხდომას მერიის საფინანსო-საბიუჯეტო, ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურებმა წარმოადგინეს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 25

2025 წლის 03 აპრილი, ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი მიმდებარე შესახვევებისათვის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მცხოვრები მოქალაქეების ერთობლივი განცხადების საფუძველზე დარეგისტრირებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, აღნიშნულ დასახლებაში მდებარე უსახელო ქუჩისა და მისი მიმდებარე შესახვევებისათვის საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების თაობაზე.

,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 01 ივნისის 239 დადგენილების შესაბამისად, მოსახლეობასთან კონსულტაციის მიზნით, საკითხთან დაკავშირებული დოკუმენტები, დადგენილი ვადით გამოქვეყნებული იყო საჯაროდ მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და რაიმე სახის შენიშვნები და მოსაზრებები არ შემოსულა. ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სახელწოდების არმქონე გეოგრაფიული ობიექტის სახელდება. ზემოხსენებული გეოგრაფიული ობიექტის სახელდების საკითხი შეთანხმებულია გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიასთან.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში მდებარე უსახელო გეოგრაფიულ ობიექტს (მდებარეს: დაბა სურამში, გვერდისუბნის დასახლებაში, იწყება: I - X381261; , Y- 4652070; კოორდინატზე და მთავრდება II- X - 380843, Y - 4651843, მთავარი ქუჩის სიგრძე შეადგენს 480 მეტრს, I შესახვევის 350 მეტრს, II შესახვევის 210 მეტრს, ხოლო III შესახვევის 230 მეტრს, მთავარ ქუჩას აღმოსავლეთით ესაზღვრება 9 აპრილის ქუჩა, დანარჩენ მხარეს მოსახლეობა) ეწოდოს ,,რევაზ თაბუკაშვილი“-ს ქუჩა, ხოლო შესახვევებს:

I შესახვევს (იწყება III-X 381185; Y 46522020 კოორდინატზე და მთავრდება IV-X 381270; Y 4651840; V-X 381160; Y- 4651733;) ეწოდოს რევაზ თაბუკაშვილის I შესახვევი.

II შესახვევს (იწყება VI-X 381079; Y 4651966 კოორდინატზე და მთავრდება VII-X 380977; Y 4652161;) ეწოდოს რევაზ თაბუკაშვილის II შესახვევი.

III შესახვევს (იწყება VIII-X380935; Y4651883; კოორდინატზე და მთავრდება IX-X 380888; Y4652102;) ეწოდოს რევაზ თაბუკაშვილის III შესახვევი.

განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას;

განკარგულება ეცნობოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

განკარგულება გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებგვერდზე www.khashuri.org.ge -ზე.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, კოსტავას ქ. №15).

ნინო ლიპარტელიანი, საკრებულოს თავმჯდომარე

- ფეხბურთი -

ექვსი ქულა და „ივერია“ სატურნირო ცხრილის სათავეშია

იმედი როგორ არ გვქონდა, ველოდით კიდეცო, ცოტა გადაჭარბებული ნათქვამი გამოგვივა, არადა, იმედიც გამართლდა და მოლოდინიც - „ივერიამ“ მართლაც რიხით დაიწყო და აგერ, ორი ტურის შემდეგ ისე ლამაზად დაჰყურებს მაღლიდან სატურნირო ცხრილს, რომ თქვენი მოწონებული. თან ორივე თამაში ისე მოიგო, გოლიც არ გაუშვია, იქით კი უკვე ხუთი გაუტანა მეტოქეებს.

სიმართლე ითქვას, სარეცენზიო მატჩს ოდნავ შიშით ვუცდიდით. როგორც ვიცოდით, ლანჩხუთი წელს ადგილობრივი ფეხბურთის 100 წლისთავს ზეიმობს და გვქონდა ინფორმაცია, რომ ნლევანდელი ფორმაციის მათ გუნდს მყარი ფინანსებიც ჰქონდა და გამოცდილი მოთამაშეებიც ჰყავდათ დამატებული. შეხვედრაც ჩვენმა ბიჭებმა თითქოს რიდით დაიწყეს, მაგრამ ხუთიოდე წუთის შემდეგ მართლაც გაილაღეს და აშკარად დომინანტად იქცნენ მინდორზე. თუმცა, სამწუხაროდ, უპირატესობა გოლში ვერ გარდასახეს. ის კი არა, ტაიმის ბოლო 10-12 წუთი უკვე ლანჩხუთელთა უპირატესობით წარიმართა. შესვენებამ მართლაც დადებითად იმოქმედა ჩვენს გუნდზე. მწვრთნელებმაც მცირე და რაც მთავარია, სწორი ტექნიკური ცვლილებები განახორციელეს და შედეგიც გამოჩნდა. 56 - ე წუთზე საბა ზაზიკაშვილი მარცხნიდან შეიჭრა ლანჩხუთელთა საჯარიმოში, ორი მცველიც ჩამოიტოვა და ბურთი პირდაპირ ფეხზე დაასვა მახარობლიძეს, რომელსაც არ გაჭირვებია ბურთის კარში შეგორება - 1:0. ამის შემდეგ შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა, თუმცა, წმინდა საგოლე სიტუაციები ჩვენს გუნდს უფრო ჰქონდა. 90 წუთიც ასე მიილია და „ივერიამაც“ სამი ქულა მიითვალა.

ცალკე მინდა აღვნიშნო გულშემატკივართა შესახებ. მიუხედავად საშინელი ამინდისა, ერთგული გულშემატკივრები მრავლად იყვნენ ტრიბუნაზე და საერთო წარმატებაში მათი წვლილიც არის.

მაშ ასე: „ივერია“ ლიდერია! ექვსი ქულა, ჩვენს გარდა, მხოლოდ „ვიტ ჯორჯიას“ აქვს, დანარჩენები კი უკან მოგვყვებიან. შემდეგი თამაში კვლავ გასვლაზე გვიწევს. „სამგურალს“ უნდა ვესტუმროთ წყალტუბოში. იმედია, წარმატებული სერია გაგრძელდება.

ლანჩხუთთან კი „ივერიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: დერევიაჩენკო, ზუმბაძე, ჭანკოტაძე, კაპანაძე, მახარობლიძე, ჩადუნელი, (ო.ხაჩიძე,) ივანაშვილი, ს. ხაჩიძე, ბადრიაშვილი, ზაზიკაშვილი (კუნჭულია), გ. ნოზაძე (ლ. ნოზაძე).

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.